შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება
„აკადემიკოს ნიკოლოზ ყიფშიძის სახელობის ცენტრალური
საუნივერსიტეტო კლინიკა“

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

ბრძანება № 1000395 4 24 00000002

ქ. თბილისი 23/01/2024 **წელი**

შპს "აკადემიკოს ნიკოლოზ ყიფშიძის სახელობის ცენტრალური საუნივერსიტეტო კლინიკის" ახალ პროექტთან დაკავშირებით რიგი საკითხების განსახორციელებელი ღონისძიებების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2024 წლის 22 იანვრის N 128 განკარგულების ფარგლებში რეორგანიზაციის გამოცხადების შესახებ

შპს "აკადემიკოს ნიკოლოზ ყიფშიძის სახელობის ცენტრალური საუნივერსიტეტო კლინიკის" წესდების 10.3 პუნქტის, ა(ა)იპ საქართველოს სამედიცინო ჰოლდინგის 2024 წლის 23 იანვრის N 1000395 4 24 00075802 შეტყობინების, საქართველოს მთავრობის 2024 წლის 22 იანვრის შპს "აკადემიკოს ნიკოლოზ ყიფშიძის სახელობის ცენტრალური საუნივერსიტეტო კლინიკის" ახალ პროექტთან დაკავშირებით რიგი საკითხების განსახორციელებელი ღონისძიებების შესახებ" N 128 განკარგულების შესაბამისად

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ :

1. საქართველოს მთავრობის 2024 წლის 22 იანვრის შპს "აკადემიკოს ნიკოლოზ ყიფშიძის სახელობის ცენტრალური საუნივერსიტეტო კლინიკის" ახალ პროექტთან დაკავშირებით რიგი საკითხების განსახორციელებელი ღონისძიებების შესახებ" N 128 განკარგულებით გათვალისწინებული მიზნის შეუფერხებელი უზრუნველყოფისათვის, ახალი მრავალპროფილური, მაღალტექნოლოგიური და თანამედროვე სტანდარტების სამედიცინო დაწესებულების მოსაწყობად, არსებული შენობის დემონტაჟის უზრუნველსაყოფად, განსახორციელებელი სამუშაოების ფარგლებში, საქართველოს შრომის კოდექსის 47-ე მუხლის 1-ელი ნაწილის "ა" ქვეპუნქტის თანხმად, გამოცხადდეს რეორგანიზაცია, რომელსაც თან ახლავს ყველა სტრუქტურული ერთეულის გაუქმება, ხოლო აღნიშნულ პოზიციაზე დასაქმებულ პირებს მიეცემათ საქართველოს შრომის კოდექსის 48-ე მუხლით გათვალისწინებული კომპენსაცია.

2. რეორგანიზაციის გამოცხადებამდე თანამშრომლებთან მხარეთა შეთანხმებით განსაზღვროთ შრომითი ხელშეკრულების შეწყვეტის ქვემოთ ჩამოთვლილი პირობები, ხოლო აღნიშნულ პირობებზე თანამშრომლების მხრიდან პოზიციის წარმოდგენის ბოლო ვადად განსაზღვროთ 5 თებერვალი:
"1. თუ დასაქმებულის სურვილის შესაბამისად, წყდება შრომითი ხელშეკრულება კლინიკასთან და იგი დასაქმებულია მხოლოდ შპს „აკადემიკოს ნიკოლოზ ყიფშიძის სახელობის ცენტრალურ საუნივერსიტეტო კლინიკაში“ (ს/კ 205165453) თანამშრომელზე გაიცემა ერთჯერადად შრომითი ანაზღაურების (ხელფასის ბოლო 3 თვის საშუალო) 12 თვის კომპენსაცია;

2. თუ დასაქმებულის სურვილის შესაბამისად, წყდება შრომითი ხელშეკრულება კლინიკასთან და პარალელურად დასაქმებული არის სხვა ორგანიზაციაშიც, გარდა შპს „აკადემიკოს ნიკოლოზ ყიფშიძის სახელობის ცენტრალური საუნივერსიტეტო კლინიკისა“ (ს/კ 205165453) თანამშრომელს ეძლევა ერთჯერადად შრომითი ანაზღაურების (ხელფასის

ბოლო 3 თვის საშუალო) 4 თვის კომპენსაცია;

3. თუ თანამშრომელი არ ისარგებლებს შეთავაზების 1-ელი ან მე-2 პუნქტით, მას სურვილის შემთხვევაში მიეცემა კლინიკაში არსებული პოზიციის ტოლფასი სამსახურის ერთჯერადი შეთავაზება. ხოლო თანხმობის შემთხვევაში, შეთავაზებულ პოზიციაზე შრომითი ხელშეკრულების გაფორმებიდან 7 (შვიდი) დღის ვადაში დამატებით მიეცემა ერთჯერადად შრომითი ანაზღაურების (ხელფასის ბოლო 3 თვის საშუალო) 4 თვის კომპენსაცია;

4. თუ თანამშრომელი უარს განაცხადებს მიმდინარე პოზიციის დატოვებაზე ან ვერ მოხერხდება თანამშრომლისთვის კლინიკის მხრიდან ალტერნატიული სამსახურის ერთჯერადი შემოთავაზება, 3 (სამი) წლის განმავლობაში შეუნარჩუნდება ყოველთვიური სახელფასო ანაზღაურება (ხელფასის ბოლო 3 თვის საშუალო) სხვა ორგანიზაციაში დასაქმებამდე."

პირველი და მესამე პუნქტით გათვალისწინებულ შეთავაზებაზე თანამშრომლის თანხმობის შემთხვევაში თანამშრომელმა, არაუგვიანეს 2024 წლის 5 თებერვლისა უნდა წარმოადგინოს სსიპ „შემოსავლების სამსახურიდან“ შემოსავლის დადასტურების შესახებ ცნობა, 2023 წლის 01 სექტემბრიდან ცნობის გაცემის თარიღამდე.

თუ თანამშრომლის მიერ არჩეული იქნება მე-4 შემოთავაზება, თანამშრომელმა წერილობითი ფორმით უნდა წარმოადგინოს შევსებული დანართი N1, რომლის თანახმადაც, შპს „აკადემიკოს ნიკოლოზ ყიფშიძის სახელობის ცენტრალურ საუნივერსიტეტო კლინიკას“ (ს/კ 205165453) მიეცემა უფლება 2027 წლის 01 მაისამდე გამოითხოვოს სსიპ „შემოსავლების სამსახურიდან“ ინფორმაცია თანამშრომლის შემოსავლის შესახებ.

შენიშვნა : კლინიკის არასამედიცინო პერსონალს (ადმინისტრაცია) შეთავაზებებიდან ეხება მხოლოდ 2.1. და 2.2. პუნქტი. ხოლო, სამედიცინო პერსონალს უფლება აქვს ისარგებლოს ოთხიდან ნებისმიერი ერთი შეთავაზებით.

3. ბრძანებით გათვალისწინებული რეორგანიზაციის მიზნების უზრუნველყოფისათვის შეიქმნას რეორგანიზაციის განმახორციელებელი კომისია, შემდეგი შემადგენლობით:

3.1. იურიდიული სამსახურის უფროსი - გვანცა როგავა (კომისიის თავმჯდომარე)
3.2. შიდა აუდიტორი - გოგი კონტრიძე (კომისიის წევრი)

4. ბრძნების მე-2 პუნქტით გათვალისწინებულ შეტყობინებაზე პასუხის წარმოუდგენლობა გამოიწვევს აღნიშნული ბრძანების 1-ელი პუნქტით გათვალისწინებული რეორგანიზაციის ფარგლებში, თანამშრომლის გათავისუფლებას საქართველოს შრომის კოდექსის 47-ე მუხლის 1-ელი ნაწილის "ა" ქვეპუნქტით და საქართველოს შრომის კოდექსის 48-ე მუხლით გათვალისწინებული კომპენსაციისა და შრომითი ურთიერთობის პროპორციის შესაბამისი გამოუყენებელი ანაზღაურებადი შვებულების ანაზღაურებას.

5. იურიდიული სამსახურის უფროსს, იურიდიული სამსახურის მთავარ იურისტს და ადამიანური რესურსების მართვისა და განვითარების მთავარ სპეციალისტს დაევალოს ბრძანების მე-2 პუნქტით გათვალისწინებული შეთავაზებისა და საჭირო ქმედებების განხორციელება, ხოლო კოორდინირება გაუწიოს იურიდიული სამსახურის უფროსმა/ადამიანური რესურსების მართვისა და განვითარებისა სამსახურის უფროსის მოვალეობის შემსრულებელმა - გვანცა როგავამ.

6. დაევალოს კლინიკის კანცელარიას აღნიშნული ბრძანების კლინიკის ყველა თანამშრომლისთვის ჩაბარება;

7. რეორგანიზაციის ვადად განისაზღვროს 2024 წლის 05 თებერვლიდან 2024 წლის 15 თებერვლის ჩათვლით პერიოდი;

8. ბრძანება ძალაში შედის ხელმოწერის დღიდან;

9. ბრძანებით გათვალისწინებულ პროცესებზე კონტროლს განვახორციელებ პირადად;

10. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოში (მისამართი: თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი 64), მისი ოფიციალურად გაცნობის დღიდან 1 თვის ვადაში.

ხელმოწერილია/
შტამპდასმულია
ელექტრონულად

დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი
თეა თავართქილაძე